ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა N 01-17/5

27/06/2016

5-01-17-4-201606271445

ქ.ქობულეთი

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 22 ივლისი N 3-62 გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე

2014 წლის 4 აგვისტოს მოქალაქეების ჯამბულ თურმანიძის, დავით თედორაძის, მედეა ბარამიძის და ნოდარ დავითაძის წარმომადგენელმა ჯუმბერ ქართველიშვილმა სარჩელით მიმართა ბათუმის საქალაქო სასამართლოს მოპასუხე საქართველოს საავტობობილო გზების დეპარტამენტის მიმართ და მოითხოვა კომპენსაციის სახით თანხის, კერძოდ, ჯამბულ თურმანიძის და მედეა ბარამიძის სასარგებლოდ 15000-15000 ლარის დაკისრება, დავით თედორაძის სასარგებლოდ 9000 ლარის, ხოლო ნოდარ დავითაძის სასარგებლოდ 6000 ლარის დაკისრება.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 27 აგვისტოს განჩინებით ჯამბულ თურმანიძის, დავით თედორაძის, მედეა ბარამიძის და ნოდარ დავითაძის სარჩელი განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოს. 2015 წლის 21 იანვარს ჯამბულ თურმანიძის, დავით თედორაძის, მედეა ბარამიძის და ნოდარ დავითაძის წარმომადგენელმა ჯუმბერ ქართველიშვილმა დააზუსტა სასარჩელო მოთხოვნა, მოპასუხე დაასახელა ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო, ხოლო მესამე პირად საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი და მოითხოვა ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დავალდებულება მოსარჩელეები შეიყვანოს საკომპენსაციო სიებში და დაზუსტებული სიები გადაუგზავნოს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 26 იანვრის განჩინებით ჯამბულ თურმანიძის, დავით თედორაძის, მედეა ბარამიძის და ნოდარ

დავითაძის სარჩელი განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა ბათუმის საქალაქო სასამართლოს.

2015 წლის 1 ივნისის სასამართლო სხდომაზე ჯამბულ თურმანიძის, დავით თედორაძის, მედეა ბარამიძის და ნოდარ დავითაძის წარმომადგენელმა ჯუმბერ ქართველიშვილმა ისევ დააზუსტა სასარჩელო მოთხოვნა და მოითხოვა ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 14 იანვრის N01-25/23 წერილის ბათილად ცნობა და მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს დავალდებულება, საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების შესწავლის და გამოკვლევის საფუძველზე, გამოსცეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ჯამბულ თურმანიძის, დავით თედორაძის, მედეა ბარამიძის და ნოდარ დავითაძის ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შემოვლითი გზის არეალში მოხვედრილ ბენეფიციართა კომპენსაციის მიმღებთა სიაში შეყვანის თაობაზე.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 7 მაისის განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის 1 ნაწილის საფუძველზე საქმეში მესამე პირად ჩაება თინა ფუტკარაძე.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 22 ივლისის გადაწყვეტილებით ჯამბულ თურმანიძის, დავით თედორაძის, მედეა ბარამიძის და ნოდარ დავითაძის სარჩელი დაკმაყოფილდ ნაწილობრივ: სადაო საკითხის გადაუწყეტლად ბათილად იქნა ცნობილი ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 14 იანვრის N01-25/23 წერილი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი; მოპასუხეს- ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დაევალა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების შესწავლის, გამოკვლევისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე გამოსცეს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ჯამბულ თურმანიძის, დავით თედორაძის, მედეა ბარამიძის და ნოდარ დავითაძის მიერ საკომპენსაციო სიაში შეყვანის შესახებ განცხადებასთან დაკავშირებით. გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში.

აღნიშნული გადაწყვეტილება მოპასუხემ და მესამე პირმა თინა ფუტკარაძემ სააპელაციო წესით გაასაჩივრეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 29 დეკემბრის განჩინებით თინა ფუტკარაძის და ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა.

უცვლელი დარჩა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 22 ივლისის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება მოპასუხემ და მესამე პირმა თინა ფუტკარაძემ საკასაციო წესით გაასაჩივრეს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 28 აპრილის განჩინებით თინა ფუტკარაძის საკასაციო საჩივარი დარჩა განუხილველი, ხოლო 2016 წლის 16 მაისის განჩინებით ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დაუშვებლად.

გადაწყვეტილება შესულია კანონიერ ძალაში.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 72-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 73-ე, 76-ე, 95-99-ე მუხლების თანახმად **ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 22 ივლისის გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით.

2. ადმინისტრაციული საქმის წარმოება ჩატარდეს 2016 წლის 26-ივლისს 15-00 საათზე.

3. ადმინისტრაციული საქმის წარმოება განახორციელოს საკრებულოს ქონების მართვისა და აგრარულ საკითხთა კომისიის თავმჯომარემ (ვ.ქარცივაძე), იურიდიულ საპროცედურო, სამანდატო კომისიის თავმჯდომარესთან (მ.ჟორდანია) და საკრებულოს მთავარ სპეციალისტებთან (ს.ბეჟანიძე, თ.ვერულიძე) ერთად იურიდიულ საკითხებში.

4. ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობა ეთხოვოს გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსს თეონა გეგიძეს.

5. ადმინისტრაციულ წარმოებაში ჩაბმულ იქნას ჯამბულ თურმანიძე, დავით თედორაძე, მედეა ბარამიძე და ნოდარ დავითაძე, ასევე მოწვეულ იქნას თინა ფუტკარაძე, სოფელ ციხისძირის ყოფილი ტერიტორიული ორგანოს რწმუნებული ბადრი ვარშანიძე და გამგებლის რწმუნებული სოფელ ციხისძირში რუსლან ანთაძე.

6. განემარტოს ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე მხარეს, რომ უფლება აქვთ 2016 წლის 25 ივლისს 13-00 საათამდე წარმოადგინოს საკუთარი მოსაზრებები და მტკიცებულებები, შემდეგ მისამართზე: ქობულეთი, აღმაშენებლის გამზირი №141. (მუნიციპალიტეტის საკრებულოს კანცელარია)

დაინტერესებული მხარის მიერ საკუთარი მოსაზრებების (მტკიცებულებების) წარმოუდგენლობა არ დააბრკოლებს საქმის გადაწყვეტას.

7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში ერთი თვის ვადაში (მისამართი: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30).

8. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

სულხან ოქროპირიძე

საკრებულოს თავმჯდომარე

ხელმძღვანელობა